საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 სექტემბერი, 2014 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/ 06

,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2013 წლის 01 ნოემბრის აკადემიური საბჭოს № 04-01/64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2013 წლის 01 ნოემბრის აკადემიური საბჭოს № 04-01/64 დადგენილებაში:

საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელოვნების უნივერსიტეტში მოწვეული სპეციალისტის საათის ღირებულება განისაზღვროს ხელშეკრულებითა და რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია